პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 175 (19616) ◆ ხუთშაბათი, 31 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკაში ჩაის ფოფლის კრეფისა და გადამუშავების გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, მეჩაიეობის წამყვანი რაიონების — მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ოჩამჩირის, გალის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა ჩაის ფოთლის დამზადების საგეგმო დავალებათა შესრულების ორგანიზაციის საქმეში არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახაგრომრეწვების, საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, მეჩაიეობის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების და აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელობის უურადღება მიეპყრო იმას, რომ ძირეულად უნდა გარდაიქმნას მუშაობა დარგის ხელმძღვანელობისათვის, დარგის შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ მთელი არსებული რესურსები ხარისხოვანი ჩაის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ეფექტიანობა ეკონომიკურ ბრძოლაში

ეფექტიანობა ეკონომიკურ ბრძოლაში

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, თავმჯდომარის [illegible] ინფორმაცია [illegible] ურნეობებში საკვების დამზადების მომდინარეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არასაკმარისად ცნო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, აგროსამრეწველო გაერთიანებების მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პრო-

(დასასრული მე-3 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ჩვენი საზოგადოების განვითარების დაჩქარების სტრატეგია მოითხოვს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებას, საბჭოთა ადამიანების, შრომითი კოლექტივების სულ უფრო ფართო და თანამიმდევრულ მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში, სახალხო დეპუტატთა საბჭოების გააქტიურებას, მათი მუშაობის შინაარსის განახლებას, ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებას, ამ ამოცანათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის ღონისძიებათა შესახებ“. იგი ახალ შესაძლებლობებს უსახავს საბჭოების საქმიანობას, საშუალებას აძლევს მათ უფრო სრულად შეახამონ ტერიტორიული და დარგობრივი საწყისები მართვაში, უკეთ გადაწყვეტონ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ბაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უწევენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, თანამიმდევრულად უნდა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებათა შესრულებაში საბჭოების დამოუკიდებლობის, აქტიურობისა და ინიციატივის გადიდების კურსი, მიაღწიონ, რომ ყოველი საბჭო საქმით უზრუნველყოფდეს შესაბამის ტერიტორიაზე მეურნეობის კომპლექსურ და ეფექტიან გაძღოლას, იქ განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, მოლაპარაკებებს თანამშრომლობის ნებისმიერ საკითხთა გადაწყვეტისათვის.

გადაჭრით უნდა მოვიშოროთ თავიდან საბჭოების წვრილმანი მეურვეობა, დუბლირება და მათი მაგვარობის გაწევა, არ დაუშვათ მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების გამო გადაწყვეტილებათა მიღება. როგორც წესი, უნდა შეწყდეს ადგილზე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთობლივი დადგენილებების მიღება, ნიადაგ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მოგვარდეს საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების უფრო მჭიდრო, საქმიანი ურთიერთმოქმედება.

პარტიული კომიტეტები ვალდებული არიან საჭირო პირობები შეუქმნან სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის დემოკრატიულ პრინციპების უფრო სრულ რეალიზაციას და, უწინარეს ყოვლისა, სესიების როლის გადიდებას, აღმოფხვრან მეტისმეტი ორგანიზებულობა და პარადულობა მათს მოწყობაში, მოწვევის დროისა და მუშაობის ხანგრძლივობის გაუმართლებელი რეგლამენტაცია. მიაღწიონ, რომ სესიებზე ყოველმხრივ და თავისუფლად განიხილავდნენ ადგილობრივი ცხოვრების საკითხებს, იყოს ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა პროექტების შედარების შესაძლებლობა, გააძლიერონ საჯაროობა საბჭოების სესიების მუშაობაში, უზრუნველყონ მათში შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამომრჩევლების წარმომადგენლთა მონაწილეობა. მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, როგორც წესი, მოსახლეობაში პროექტების წინასწარი განხილვის შემდეგ.

პარტიულმა კომიტეტებმა, აღნიშნულია, დადგენილებაში, აქტიურად უნდა შეიწყონ ხელი ყველა დონის საბჭოების დეპუტატთა საქმიანობის გაუმჯობესებას, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. პარტიის XXVII ყრილობის იმ მითითებებიდან გამომდინარე, რომ დეპუტატის წოდება თანამდებობის დანამატი, საპატიო პრივილეგია კი არა, საბჭოსა და მოსახლეობაში დიდი და ძნელი მუშაობაა, დადგენილებაში ნათქვამია, რომ მიზანშეწონილი არ არის დეპუტატების გადატვირთვა სხვა საზოგადოებრივი დავალებებით. დასახულია ამოცანა გაზარდონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეულ კომუნისტთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია განახორციელონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი, საბჭოთა აპარატში დააწინაურონ პოლიტიკურად მოწიფული, კომპეტენტური და ინიციატივიანი მუშაკები, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ადამიანებთან მუშაობის უნარი, გაითვალისწინონ საბჭოების მუდმივი კომისიების, შრომითი კოლექტივების აზრი საკადრო საკითხების გადაწყვეტის, აგრეთვე საბჭოთა ორგანოების აპარატის მუშაკთა ატესტაციის დროს, გასწორონ გულმოდგინე მუშაობა საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, ადამიანთა საჭიროებებისადმი უსულგულო, ფორმალური დამოკიდებულების, უწყებრიობისა და კუთხურობის გამოვლინებათა ფაქტების აღმოფხვრისათვის.

ხაზგასმულია მოთხოვნა უზრუნველყონ, რომ განუხრელად სრულდებოდეს კანონმდებლობა შრომითი კოლექტივების კრებებსა და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებზე დეპუტატების, აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების რეგულარული ანგარიშგების მოწყობის შესახებ, ნიადაგ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ანგარიშგება ხდებოდეს მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში, მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. გააძლიერონ კონტროლი ანგარიშგების დროს გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისათვის საბჭოების აღმასკომების მუშაობისადმი.

პარტიულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გაზარდონ პარტიული ჯგუფების როლი სახალხოში, რომლებიც სკკპ წესდების შესაბამისად უნდა გახდნენ საბჭოების საქმიანობაზე პარტიის გავლენის გაძლიერების ქმედითი მექანიზმი, უზრუნველყონ, რომ პარტიული ჯგუფები მუშაობდნენ რეგულარულად, უფრო სრულად ახორციელებდნენ კომუნისტი დეპუტატების მიმართ საკონტროლო ფუნქციებს, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ საბჭოთა აპარატის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კადრების შერჩევისა და განაწილების, საბჭოთა ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებში.

შეხვედრები მუშათა კლასთან

მ. ს. გორბაჩოვი ხაბაროვსკის მხარეში

ამურის კომსომოლსკი, 29 ივლისი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი დღეს ჩამოვიდა ქალაქში, რომელიც პირველ საბჭოთა ხუთწლედებში აშენდა. მხარის მუშები, ინჟინრები, შრომის ვეტერანები, მცხოვრებლები გულთბილად შეხვდნენ მ. ს. გორბაჩოვს. ყველგან, სადაც კი იგი მივიდა, იმართებოდა გულახდილი და საქმიანი საუბრები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უფრო სწრაფად და ეფექტიანად სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული გეგმები.

მუშებთან პირველი შეხვედრები გაიმართა ი. ა. გაგარინის სახელობის საავიაციო ქარხანაში. შეკრებილთ რომ მიმართა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა:

— რამდენი თემა დაგვწერია, მეგობრებო, სკოლაში კომკავშირის სახელოვანი ისტორიის შესახებ. და ყოველთვის მათში მკაფიო ფურცელი თქვენი ამურის კომსომოლსკი იყო, და აი, ჩამოვედი თქვენთან, რათა შევიტყო, როგორ ცხოვრობთ, მოგიწოდოთ ახალი დიდი მუშაობისათვის.

— ჩვენ მზად ვართ ამისათვის, მიხეილ სერგის ძე, ოღონდ ომი არ იყოს, — გაისმა პასუხად, მაგრამ ადამიანები რიგში, ნაკლოვანებებიაო, ამბობენ ჩვენი ყოფა-ცხოვრების სიძნელეებისადმი ყურადღებას არ იჩენენო. ერთმანეთის მიყოლებით ემბეგიან საუბარში მუშები, განსაკუთრებით აქტიურობენ მუშა ქალები. განა ეს წესია, თქვეს მათ, რომ ქალაქში რამდენიმე ათასი მეგობეა, საშენ მასალებს კი ვერ ყიდულობენ. ბინის შესაკეთებლად ვერც საღებავს, ვერც კირს, ვერც ფიცარს ვერ იშოვი. იძულებული ხდები სპეკულანტებს მიმართო.

— სწორედ რომ ასეა! — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. — ეს ადამიანები ხომ სახელმწიფოს ჰპარავენ, თქვენ კი მათ ზედმეტს უხდით „რისკისათვის“. ნუთუ არ შეგიძლიათ მიაღწიოთ იმას, რომ ყოველივე ეს მოგვარდეს კოოპერაციის მეოხებით, სახელმწიფო ვაჭრობაში? ელით, რომ მოსკოვიდან ჩამოვიდეს ვინმე წესრიგის დასამყარებლად?

საუბარში ჩაება ახალგაზრდა მუშა: განა ეს წესია, რომ ქალაქში, სადაც შობადობა კვლავ საკმაოდ დიდია, ვერ იშოვი ბავშვის ფეხსაცმელს და ტანსაცმელს? ქარხანაში 1939 წლიდან ვმუშაობ, თქვა ერთმა მუშა ქალმა. აქ მაშინ ტრიალი მინდორი იყო, მაგრამ აშენდა უზარმაზარი, ქვეყნისათვის საჭირო ქარხანა, და ახლა ნამუსიანად ვშრომობთ, მაგრამ ნამდვილ ზრუნვას მუშებისათვის, მათი საჭიროებებისათვის ვერ ვგრძნობთ.

მ. ს. გორბაჩოვი: დღეს საქმე ამგვარად უნდა იყოს: ყოველ მუშაკაცს, ყოველ ინჟინერს, ყოველ მშრომელს ყველაფერი ეკითხება. მას უფლება აქვს და ვალდებულია გამოთქვას შენიშვნები, თუკი ისინი აქვს, წარმოების შესახებაც, ყოფა-ცხოვრების საკითხებზეც, აღზრდის, დისციპლინის და საერთოდ წესრიგის საკითხებზეც, საწარმოშიც და ქალაქშიც. ასე უნდა იყოს, და თუ ასე არ იქნება, ქვეყანაში საქმე წინ ვერ წავა. ცუდია, თუ ხელმძღვანელები არ გარდაიქმნებიან, არ შეუძლიათ მოუსმინონ ხალხს, რაც მთავარია, არ წყვეტენ იმას, რაც შეიძლება სწრაფად გადაწყდეს ადგილზე. თუკი ეს შეუძლებელია, გასაგებად და მკაფიოდ უნდა ავუხსნათ ადამიანებს, რატომ არ არის ახლა ასეთი შესაძლებლობა.

ხმა: მიხეილ სერგის ძვ, უფრო მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვისაც „ვადამდე“ პატაკის ჩაბარება უყვარს.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს სწორია. თქვენი ქალაქი მთელ ქვეყანაშია ცნობილი. აქ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები წყდება. და როგორ ცხოვრობს იგი, როგორ გრძნობენ თავს ადამიანები, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. იქ, რასაც თქვენ ამბობთ,—კარგი თუ ცუდი, უნდა ვიცოდეთ. არაფერი გვაქვს მისაჩქმალი. რაც კარგია, ის ჩვენთან იქნება. თქვენ ამზადებთ შესანიშნავ ნაკეთობებს, რომლებზეც სიამაყით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ამის რა სჯობს. მაგრამ თუ იმავე ქარხანაში უწესრიგობაც არის, ეს უნდა გამოსწორდეს. და არ ღირს, რომ დირექტორმა გენერალურ მდივანს ვარდისფერი სათვალე შესთავაზოს. ყველაფერი ისე უნდა დავინახოთ, როგორც არის. თქვენ უშვებთ მთელი ქვეყნისათვის საჭირო პროდუქციას, მაგრამ ეს საწარმოს ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს მუშებზე ზრუნვისაგან. მუშაკაცისადმი მით უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, რაც უფრო უკეთ მუშაობთ. და საერთოდ, თავი უნდა იგრძნოთ ბატონ-პატრონებად. მაგრამ როგორ იქცევა ბატონ-პატრონი შინ? კარგს ავთარებს, ცუდს ებრძვის და წესრიგს იცავს.

იმას, რაშიც ნამდვილად ცენტრიდან არის საჭირო დახმარება, გავარკვევთ, დაგეხმარებით, ალბათ ყველაფერს ერთად ვერ გადაწყვეტ... ავიღოთ თუნდაც საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომლის გამო ჩივით. სიტუაცია აქ ასეთია: საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოთხოვნილება სამჯერ აღემატება იმას, რის შემოთავაზებაც ახლა შეუძლიათ. სოციალური სფერო, ბინები, საყოფაცხოვრებო სფერო. ეს საქმე ყველგან გამოსასწორებელი გვაქვს. ბინების მშენებლობას კიდევ რამდენიმე მილიარდი დავუმატეთ. მაგრამ აქ საჭიროა პირადი ინიციატივა გამოვიყენოთ. მთელი საზოგადოება უნდა დავრაზმოთ, რათა 2000 წლისათვის ყოველ ოჯახს ბინა ჰქონდეს.

რაც შეეხება კომსახურებას, ეს ყველაზე სუსტი ადგილია. წელს დამატებით გამოვყავით მილიარდნახევარი მანეთი საშენი მასალების გასაყიდად. ვამზადებთ წინადადებას, რომ ისინი გეგმაში შევიტანოთ. უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ვაპირებთ გადავტრათ ცემენტის, ფიცრის, ლურსმნის, საღებავისა და სხვათა გაყიდვის პრობლემა.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ნაკლებად ზრუნავთ სახლებისათვის, რომლებშიც ვცხოვრობთ. აი, კოოპერაციულ სახლებში ციბეები, სადარბაზოები, კედლები წესრიგშია. მაგრამ შეხვალ აღმასკომის სახლში, სადაც ბინა არ გიყიდია და მოსთვის იიფს იხდი, კედლები აჭრელებულია, სადარბაზოებში ნაგავი ყრია, ანტისანიტარიაა. ამიტომ უნდა მოვკიდოთ ხელი სახლების მოვლას. ეს ხომ ჩვენთვისვე იქნება უკეთესი. უნდა დავრაზმოთ სახლის ორგანიზაციები, თვით მობინადრენი, უნდა ვიზრუნოთ სახლისათვის, რომელშიც ვცხოვრობთ, ბოლო მოვუღოთ სხვისი მოიმედობის განწყობილებას.

ქარხანაში როგორ გაქვთ წესრიგის საქმე?

ხმები: თითქოს ყველაფერი ნორმალურად არის.

მ. ს. გორბაჩოვი: ქალაქში?

ხმები: ქალაქში წესრიგი ნაკლებია, გზები, ქუჩები ცუდია.

მ. ს. გორბაჩოვი: აი, გისმენთ, და სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ სწორად დავიწყეთ საქმისადმი, ჩვენი მოვალეობისადმი დამოკიდებულების მსჯერვა.

ხმები: სწორია, ხალხი დაგეხმარებათ.

სურათზე: ლენინური კომკავშირის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნისმუშებთან შეხვედრის დროს.

საკლეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი: ბევრი პრობლემა დაგვიგროვდა, დიდიც და პატარაც. საჭიროა დიდი ბუღლოზერი, რომ ყველაფერი გავქექოთ, გამოვქექოთ. ეს უნდა ესმოდეთ ცენტრშიც და ადგილებზეც. რაკი სწორი პოლიტიკა დავსახეთ და ხალხს იგი ესმის, საჭიროა, რომ აქტიურად მოქმედებდეს ყველა— თითოეული კოლექტივი, თითოეული თავის პოსტზე, თავის სამუშაო ადგილზე. და საჭიროა, რომ ფორმალური კი არა, ნამდვილი დეპუტატები გვყავდეს. და რომ ყოველი ხელმძღვანელი არ ფიქრობდეს, თანამდებობა მივიღე და, ეს არის, უფლისწული გავხდიო. მას იმისათვის ირჩევენ, რომ ხალხს ემსახუროს, იგი ხალხის მსახურია, და მას ამ საზიმით უნდა მოვკითხოთ. ხალხის ნდობა დიდ მოვალეობას გვაკისრებს. მაგრამ იმათაც, ვინც ხელმძღვანელ პოსტებზე აღმოჩნდება, მხარდაჭერა და გაგება სჭირდებათ. ნამდვილი ხელმძღვანელი — საწარმოში, რაიონში, ქალაქში და ა. შ. — ის არის, ვისაც უნარი შეაწევს დარაზმოს ადამიანები, ვისაც კონტაქტი, სწორი ურთიერთობა აქვს ადამიანებთან, ვისაც შეუძლია მოუსმინოს მათ, გაითვალისწინოს ნათქვამი საქმის სასარგებლოდ. განუმარტოს ადამიანებს ის, რის გაკეთებაც ახლა არ შეიძლება. მაშინ საქმე გამოდის და წინ მიდის.

თუ ვინმე წარსულით არის დაავადებული, თავის თანამდებობას საკუთარი საქმის მოსაგვარებლად იყენებს და ნამდვილად არ ზრუნავს ქალაქისათვის, ქარხნისათვის, ეს უკვე ხელმძღვანელი აღარ არის.

და ნუ გერიდებათ სიმართლის თქმა, არ უნდა დაუთმოთ უტიფრებს, წამგლეჯებს, იმათ, ვინც ცდილობს დაამციროს ადამიანი, აწყენინოს მას. ნუ დაუთმობთ მათ. მათი დრო მიდის. ყველა უნდა გარდაიქმნას, თქვენც და მეც. ვინც არ გარდაიქმნება, მოგვიწევს, როგორც იტყვიან, მიეაბრძანოთ. ხალხს თუ არ დავეუღრღენთ, ვერაფერს გავხდებით. ხალხს კი გზა არ აებნევა. სანამ ვინმეს დავნიშნავდეთ თანამდებობაზე, კარგი იქნება, შეეკრიბოთ ადამიანები, რჩევა ვკითხოთ მათ. აქ საიდუმლო არაფერია. უფრო ხშირად ვთხოვოთ რჩევა ხალხს — მაშინ შრომითი კოლექტივების, რაიონების, ქალაქების სათავეში იდგებიან ადამიანები, რომლებსაც შეიძლება დაუჯეროს კაცმა. და ადამიანები, რომლებმაც იგი აირჩიეს, უკეთ გაუგებენ და დაუჭერენ მხარს მას.

ხმა: ადგილობრივ ორგანიზაციებში კი კიდევ ხდება ასეთი რამ: დაიწყებ გაკრიტიკებას, მოითხოვ შეშფოთებას, და ცდილობენ მოგიცილონ, შეგავიწროონ. ხდება ჯერ კიდევ ასეთი რამ, ხდება.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს არ ვარგა: ყველას წინაშე ვამბობ: ჩვენ ამას ვგმობთ. და საჭიროა, რომ ამის შესახებ გაზეთებიც დაუფარავად წერდნენ. აი, აქ ვესაუბრეთ საქალაქო გაზეთის რედაქტორს. ვნახეთ, რას წერს ცენტრალური პრესა და რას — ადგილობრივი. ვხედავთ, ადგილობრივ გაზეთებში სიმშვიდე და კეთილდღეობაა. რაშია საქმე? საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების მდივნები უფლებას არ აძლევენ გაზეთს ძლიერ გააკრიტიკოს ვინმე. რას ჰგავს ეს, ამხანაგებო?! ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს. და კონტროლს უწევდეს ყველაფერს. ხალხისაგან დასამალი არაფერი გვაქვს. საქმეს საფუძვლიანად მოვკიდოთ ხელი. ძალ-ღონე გვეყოფა, ხასიათის სიმტკიცე გვეყოფა. თავგზას ვერავინ აგვიბნევს. უფრო დაირაზმეთ, ამხანაგებო, უფრო.

(დასასრული მე-3 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის კურსი მოითხოვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების — სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძვლის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთავარი რგოლის მუშაობის შემდგომ გაქტიურებას. საჭიროა გაძლიერდეს მათი საქმიანობა, რათა დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად, ხალხის მოთხოვნათა და საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით ყველა შესაძლებლობის უკეთ გამოსაყენებლად. უნდა გაფართოვდეს საბჭოების უფლებამოსილებანი, გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინეს:**

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით განახორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია:

გაძლიერდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი მათს ტერიტორიაზე ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული სფეროს კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფაში, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპისა და ეფექტიანობის გადიდების დაჩქარებაში, გაიზარდოს ამ საფუძველზე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, რაიონების, ქალაქებისა და სოფლების წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში;

გაფართოვდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მომსახურების სფეროს, დაორგანოშორისი წარმოებების, კაპიტალური მშენებლობის, ბუნების დაცვითი საქმიანობის, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში.

გაძლიერდეს საბჭოების პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, ბინაზე, სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე;

დაიხვეწოს საბჭოების ხელმძღვანელობა და მათი თანამოქმედება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, კაძლიერდეს მათი ურთიერთდაინტერესება მეურნეობრიობის შედეგების გაუმჯობესებით;

კიდევ უფრო გაღრმავდეს დემოკრატიული საწყისები საბჭოების საქმიანობაში, დაიხვეწოს მათი მუშაობის მეთოდები და სტილი, განმტკიცდეს საბჭოთა ორგანოების აპარატი კვალიფიციური კადრებით.

2. საჭიროდ იქნეს მიჩნეული სახალხო დეპუტატთა საბჭოების მაკოორდინირებელი როლის გაძლიერება დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში.

ამ მიზნით სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მიენიჭოთ უფლება, ორგანიზაცია გაუწიონ იმას, რომ:

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესების და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ვიზიტი გრძელდება

29 ივლისს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოსა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თ. ოზალის შეხვედრა. საუბრის დროს აღინიშნა, თუ რაოდენ სასარგებლო და კონსტრუქციულია საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობა, გამოითქვა რწმენა, რომ მოსკოვში გამართული მოლაპარაკება და შეხვედრები მას ახალ იმპულსს მიანიჭებს.

იმავე დღეს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და თ. ოზალის საუბარი, რომლის დროს გაგრძელდა ორმხრივი თანამშრომლობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების განხილვა.

საღამოს თ. ოზალი და მისი მეუღლე მოსკოვის ოპერეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ თათრეთის მ. ჯალილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა კონცერტს.

სტუმრებთან ერთად იყვნენ ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სხვა ოფიციალური პირნი.

ო. ოზალი იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და. გვირგვინით შეამკო იგი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

(საკლესი).

მაგისტრალის ორიენტირია დაჩქარება

26 ივლისს გაიმართა რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს და სომხეთის რკინიგზელთა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

აქტივის კრების მონაწილეებმა განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და რკინიგზელთა შრომითი კოლექტივების ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ზ. დ. პაპავა, ერევნის განყოფილების უფროსი — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ა. ა. ყაზდილიანი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. შაყაია, პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი რ. ი. ჯაპაიაშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი ო. შ. გიგიაშვილი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ.ე. ჩიგოგიძე, საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბ. ტონაძონოგოვი, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ჯ. კ. ბილბაია, ერევნის სადგურის ვაგონების მოძრაობის სიჩქარის მარეგულირებელი ბ. ს. სარკისიანი, პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. შ. იმედაძე, სოხუმის სადგურის მორიგე ნ. ა. ჩულუა, თბილისის საკვანძო პარტკომის მდივანი ი. ი. ჯიმშერიანი, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე დ. თ. ქორიძე, სოხუმის სავაგონო უბნის პროფკომის თავმჯდომარე ნ. ნ. ნაროუშვილი, პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ა. ოდიშვილი.

აქტივის კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის გზათა მინისტრი ნ. ს. კოზარეზი.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე პ. დ. მონიავინი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ე. ბირიუკოვი.

აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს მეორეხმეტე ხუთწლედისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სოციალისტური ვალდებულებანი.

ეფექტურად კი არა, ეფექტიანად

ტრანსპორტის ახლანდელი და უახლოესი პერსპექტივის ძირითადი ამოცანები მკაფიოდ არის განსაზღვრული საბჭოთა კომუნისტების ყრილობის გადაწყვეტილებებით. ეს არის ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დროული, ხარისხოვანი და სრული დაკმაყოფილება, მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის ყოველმხრივ გადიდება.

რკინიგზის მიმართ ეს მოთხოვნები კონკრეტდება ი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(გაგრძელება)

ზრდის რეზერვების გამოსავლენად და გამოსაყენებლად გამიზნული ერთობლივი ღონისძიებები, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები ჩაებან მოსახლეობისათვის საჭირო ახალ სახეობათა საქონლის შექმნისა და მისი ხარისხის ძირეული გაუმჯობესების მუშაობაში;

აწარმოონ კოოპერაციულ საწყისებზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის გამოყენების შესამცირებლად, ერთობლივად შეიძინონ და ექსპლოატაცია გაუწიონ, აგრეთვე გაიკრავონ პროგრესული მოწყობილობა, ხელსაწყოები და აპარატურა, შექმნან კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები, გაერთიანებული სალაბორატორიო-საექსპერიმენტო სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამსახურები რამდენიმე საწარმოსა და ორგანიზაციის საჭიროებისათვის;

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წილობრივი მონაწილეობა მიიღონ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის სიმძლავრეთა განვითარებაში, აგრეთვე შექმნან ამ პირობებით სპეციალიზებული საწარმოები და ორგანიზაციები საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოების შესასრულებლად;

ერთობლივად ააშენონ და ექსპლოატაცია გაუწიონ საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტებს, ბუნების დაცვითს ნაგებობებსა და დანადგარებს, საცხოვრებელ სახლებს, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, სანატორიუმებს, პოლიკლინიკებს, საავადმყოფოებს, სკოლამდელთა დაწესებულებებს, კულტურის სასახლეებს, კლუბებს, სტადიონებსა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სხვა ობიექტებს;

კოორდინაცია გაუწიონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას მასალების, სათბობის, სითბური და ელექტრული ენერგიის დაზოგვის დამატებითი რეზერვების გამოხახვისა და ამოქმედებისათვის, ბუნებრივი და სხვა რესურსების კომპლექსური გამოყენებისათვის, მეორეული ნედლეულის, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების უტილიზაციისათვის;

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სახელშეკრულებო პირობებით გადასცენ დროებით დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეები, მოწყობილობა და სასაწყობო სათავსები სხვა გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ჩაებან მოსახლეობის მომსახურებაში, კოოპერაციულ საწყისებზე სპორტული, ტურისტული და სხვა კლუბების ორგანიზაციაში.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ საბჭოების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე დაზოგილი სახსრების ნაწილი გადაეცეს მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს, რათა გამოიყენონ ეს სახსრები შესაბამისი ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

5. მიენიჭოთ მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო, მოსკოვისა და ლენინგრადის ქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება:

ა) შეიტანონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები — უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად — გეგმებში მათი პროფილის შესაბამისი დავალებები, რომელთა მიზანია სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულება ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად აღნიშნული ორგანიზაციების საშუალთა საერთო წლიური მოცულობის ერთ პროცენტამდე ოდენობით;

ბ) დაუწესონ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გათვალისწინებით ადგილობრივი მეურნეობის საჭიროებებისათვის ინარსტანდარტიზებული მოწყობილობისა და მექანიზაციის საშუალებათა დამზადების დავალებანი ამ გაერთიანებების საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის წლიური გამოშვების ერთ პროცენტამდე ოდენობით.

აღნიშნული სამუშაოებისა და პროდუქციის ანაზღაურება ხდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

6. დადგინდეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები 1987 წლიდან მოყოლებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისაგან მიღებული გეგმების პროექტების ძირითადი მაჩვენებლების ბაზაზე ამუშავებენ შესაბამის ტერიტორიებზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმათა პროექტებს და წარუდგენენ მათ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ამუშავებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს სამინისტროებისა და უწყებებს განხრით და წარუდგენენ მათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ხოლო დარგების განვითარების მიხედვით — სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს გეგმების პროექტების მომზადებისას გამოყენებისათვის.

ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებში ძალაში რჩება კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შეფუშავებისა და განმტკიცების მოქმედი წესი.

7. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა გაანალიზონ ზემოქმედება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაზე იმ საკითხების მიხედვით, რომლებსაც საბჭოები განაგებენ, და მხედველობაში იქონიონ შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება, ამ საფუძველზე დიდნაყოფიერი, ეფექტიანი მუშაობის პირობების უზრუნველყოფა.

დადგინდეს, რომ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ზემდგომ ორგანოებში წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტების წარდგენამდე სავალდებულო წესით უთანხმებენ მათ მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი), ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების როლის გაძლიერების მიზნით:

ა) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

უზრუნველყონ სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების მუდმივი ზრდა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება, საქონლის გამოშვებისა და მომსახურების გაწევის მოცულობის შეწონასწორება მოსახლეობის ფულად შემოსავალთან;

ქალაქებსა და მოსახლეობის ფასიან მომსახურებაში ყველა გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

გადასცენ 1986-1987 წლებში დადგენილი წესით ადგილობრივ დაქვემდებარებაში გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა პროდუქცია უშუალოდ უკავშირდება შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

ბ) მიენიჭოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ამ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ცენტრალიზებულად დაუგეგმავ მასობრივი მოთხოვნის საქონელზე, გამორიცხოს გაუმართლებელი დუბლირება მათი გამოშვების დროს და გაიზარდოს ამ საქონლის წარმოების ხარისხი და რენტაბელურობა, შექმნან საზოგადოებრივ საწყისებზე ასეთი საქონლის წარმოების განვითარებისა და განლაგების რესპუბლიკათშორისი და ოლქებსშორისი საკოორდინაციო ცენტრები (საბჭოები).

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და „ცენტროსიუზმან" მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 3 თვის ვადაში დააზუსტონ რესპუბლიკებში უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით აღნიშნული საკოორდინაციო ცენტრების (საბჭოების) სამაგალითო დებულება;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გაუძლიერონ კონტროლი მათს ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების, რომელთა პროდუქცია უშუალოდ უკავშირდება შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკათა სხვა სამინისტროებისა და უწყებების და სამმხმარებლო კოოპერაციის სისტემაში განავითარონ პატარ-პატარა საწარმოების ქსელი, რომლებიც უზრუნველ სახალხო მოხმარების საქონელს, აწარმოებენ ბინებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტს, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა-შეკეთებას, მოსახლეობის სხვაგვარ მომსახურებას ისეთი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის გამოყენებით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ნაწარმის ასორტიმენტისა და მომსახურების სახეობათა სწრაფი ცვლა მათზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე ამ მიზნით მოქალაქეთა სხვადასხვა ფორმის კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ღონისძიებანი;

დ) მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებმა:

შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამინისტროებისა და სხვა ობიექტების აგების კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაწილი, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფარგლებში ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კომიტეტებმა, აგრეთვე ამ კომიტეტების ადგილობრივი ორგანოებმა. აღნიშნული კომიტეტები და მათი ორგანოები შეიქმნას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ამ სამინისტროებისა და უწყებების სისტემის ორგანიზაციათა მართვის აპარატის მუშაკების რიცხვისა და შენახვის ხარჯების ბაზაზე და ფარგლებში, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების დარგში;

ბ) საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისას სავალდებულო წესით ანაზღაურებდნენ მიყენებულ ზარალს, ხოლო მათგან ამოღებული სახსრები ირიცხებოდეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე, ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით 1986 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებები გარემოს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალის განსაზღვრისა და მისი გამოშვევი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ;

გ) დადგინდეს, რომ 1987 წლიდან მოყოლებული სამრეწველო საწარმოების ბინა წყალსამეურნეო სისტემებიდან აღებული წყლის სახლაურს გადამზდელი საწარმოები შეიტანენ საკავშირო, რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოს დაქვემდებარების მიხედვით;

დ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერონ მინერალური ნედლეულის წიაღიდან უფრო სრულად ამოღების, მაღაროებიდან და კარიერებიდან ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დადგენილი წესით შეიქმნას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგიონალური სახელმწიფო კომიტეტები, აგრეთვე ამ კომიტეტების ადგილობრივი ორგანოები. აღნიშნული კომიტეტები და მათი ორგანოები შეიქმნას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ამ სამინისტროებისა და უწყებების სისტემის ორგანიზაციათა მართვის აპარატის მუშაკების რიცხვისა და შენახვის ხარჯების ბაზაზე და ფარგლებში, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების დარგში;

ბ) საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისას სავალდებულო წესით ანაზღაურებდნენ მიყენებულ ზარალს, ხოლო მათგან ამოღებული სახსრები ირიცხებოდეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე, ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით 1986 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებები გარემოს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალის განსაზღვრისა და მისი გამოშვევი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ;

ე) დადგინდეს, რომ 1987 წლიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კომიტეტები, აგრეთვე ამ კომიტეტების ადგილობრივი ორგანოები. აღნიშნული კომიტეტები და მათი ორგანოები შეიქმნას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ამ სამინისტროებისა და უწყებების სისტემის ორგანიზაციათა მართვის აპარატის მუშაკების რიცხვისა და შენახვის ხარჯების ბაზაზე და ფარგლებში, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების დარგში;

ვ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, ოლქების, აგრეთვე შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებმა, ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კომიტეტების ადგილობრივ ორგანოებიდან დადგენილი წესით შეიქმნას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ადგილობრივი ინსპექციები.

კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობა

15. კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის გადიდებისა და ორგანიზაციის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ამ დარგისადმი ხელმძღვანელობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაფართოების, სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით დადგინდეს, რომ:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებათა საფუძველზე სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებენ, ამუშავებენ და ამტკიცებენ საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკოლების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, თეატრების, სტადიონების, სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების ამოქმედების ერთიან გეგმებს;

ბ) იმ ასაშენებელი კინოთეატრების, სპორტული ნაგებობების, კულტურის სახლებისა და კლუბების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების, ადმინისტრაციული ნაგებობების (უშუალოდ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული აღნიშნული ობიექტების), აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ადმინისტრაციული ნაგებობების გარდა) სატატულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონ მანეთს აღემატება, ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისას — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

გ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რომლებიც წილობრივი მონაწილეობის წესით გადაეცემა მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების ან მეთორმეტე ხუთწლედში 'განახორციელონ ისეთი ღონისძიებანი, რომ ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახანაო-კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკათა სხვა სამინისტროებისა და უწყებების და სამმხმარებლო კოოპერაციის სისტემაში განავითარონ პატარ-პატარა საწარმოების ქსელი, რომლებიც უზრუნველ სახალხო მოხმარების საქონელს, აწარმოებენ ბინებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტს, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა-შეკეთებას, მოსახლეობის სხვაგვარ მომსახურებას ისეთი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის გამოყენებით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ნაწარმის ასორტიმენტისა და მომსახურების სახეობათა სწრაფი ცვლა მათზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე ამ მიზნით მოქალაქეთა სხვადასხვა ფორმის კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ღონისძიებანი;

დ) მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებმა:

შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამინისტროებისა და სხვა ობიექტების აგების კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაწილი, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „ცენტროსიუზმან" მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 3 თვის ვადაში დააზუსტონ რესპუბლიკებში უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით აღნიშნული საკოორდინაციო ცენტრების (საბჭოების) სამაგალითო დებულება;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გაუძლიერონ კონტროლი მათს ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების, რომელთა პროდუქცია უშუალოდ უკავშირდება შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

ეფექტიანად ანაწილონ ტერიტორიის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემადგენლობაში ანალიზი ჩაუტარონ ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ადგილობრივ ორგანოებისა და ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ადგილობრივ ორგანოებისა და ორგანიზაციებისა შეუთანხმებელ გეგმების პროექტებით გათვალისწინებული მუშაკთა რიცხვი ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

10. გაიზარდოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებლობა საქვეუწყების მეურნეობის პროპორციული და ეფექტიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის. დადგინდეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდები და რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები (აგროსამრეწველო კომპლექსის გარდა) ყოველ რესპუბლიკას გამოეყოფა მთლიანად დარგებისა და მიმართულებების მიხედვით გაუნაწილებლად.

რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შემოიღონ ანალოგიური წესი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებისას იმ შეურნეობის მიხედვით, რომელიც გეგმებით არის გათვალისწინებული ამ მიზნებისათვის;

ე) საშენ მასალათა მრეწველობის იმ საწარმოთა პროდუქცია, რომლებიც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინიციატივით აშენდა მათ მიერ დაბანდებული სახსრების ხარჯზე, მთლიანად მათ განკარგულებაში რჩება.

16. საწარმოო და არასაწარმოო სფეროების ურთიერთდაკავშირებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით დადგინდეს, რომ:

ა) შემკვეთი სამინისტროები და უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, მოკავშირე (ოლქებად დაუყოფელი) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უთანხმებენ საწარმოებისა და ობიექტების ახალ პირობებში მომუშავე საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სახანაო მშენებლობის ფონდების სახსრების გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინებით.

14. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან ერთად:

გამოიყენონ ყველა არსებული შესაძლებლობა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების პატარ-პატარა საწარმოების, ოთახ-სახელოსნოების, სპორტული დარბაზების განსალაგებლად და მოუყენებელი ან განთავისუფლებული სათავსების გამოყენების ხარჯზე;

შეუქმნან პენსიონერებს და ქალებს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, მოსწავლეებს საჭირო პირობები იმისათვის, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შეძლებისდაგვარ შრომითს საქმიანობაში და დაუწესონ მათ სურვილისამებრ მუშაობის ცვალებადი გრაფიკი, არასრული სამუშაო დღე, გამოიყენონ შინ-შრომა;

შეიმუშაონ და მეთორმეტე ხუთწლედში განახორციელონ ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია ომისა და შრომის ვეტერანების, დაღუპულ მეომართა ოჯახების, ინვალიდების, ხანდაზმული მოქალაქეების სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და კულტურული მომსახურების ძირეული გაუმჯობესება.

კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობა

15. კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის გადიდებისა და ორგანიზაციის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ამ დარგისადმი ხელმძღვანელობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაფართოების, სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით დადგინდეს, რომ:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებათა საფუძველზე სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებენ, ამუშავებენ და ამტკიცებენ საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკოლების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, თეატრების, სტადიონების, სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების ამოქმედების ერთიან გეგმებს;

ბ) იმ ასაშენებელი კინოთეატრების, სპორტული ნაგებობების, კულტურის სახლებისა და კლუბების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების, ადმინისტრაციული ნაგებობების (უშუალოდ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული აღნიშნული ობიექტების), აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ადმინისტრაციული ნაგებობების გარდა) სატატულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონ მანეთს აღემატება, ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისას — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

გ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამინისტროებისა და სხვა ობიექტების აგების კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაწილი, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე, ბუნებადაცვითი ღონისძიებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით 1986 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებები გარემოს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალის განსაზღვრისა და მისი გამოშვევი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ;

გ) დადგინდეს, რომ 1987 წლიდან მოყოლებული სამრეწველო საწარმოების მიერ წყალსამეურნეო სისტემებიდან აღებული წყლის სახლაურს გადამზდელი საწარმოები შეიტანენ საკავშირო, რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოს დაქვემდებარების მიხედვით;

დ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერონ მინერალური ნედლეულის წიაღიდან უფრო სრულად ამოღების, მაღაროებიდან და კარიერებიდან ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დადგენილი წესით შეიქმნას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კომიტეტები, აგრეთვე ამ კომიტეტების ადგილობრივი ორგანოები. აღნ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ა) გაშალონ ფართო მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს გაფართოების ტემპის დასაჩქარებლად, გაზარდონ გერგილიანობა და ინიციატივა ტერიტორიების კომპლექსური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში, მნიშვნელოვნად გააძლიერონ ყველა დონის საბჭოების საკონტროლო ფუნქციები, უფრო სრულად მოახდინონ არსებული შესაძლებლობების რეალიზაცია დასახული ამოცანების გადასაწყვეტად;

ბ) გაადიდონ საბჭოების სესიათა ეფექტიანობა, სისტემატურად განიხილონ სესიების დროს რეგიონების განვითარების საკითხები, უფრო აქტიურად განიხილონ და უფრო კრიტიკულად შეაფასონ მართვის ორგანოების ანგარიშები, მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობა, მოისმინონ ზემდგომი დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა ინფორმაციები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, რეგულარულად მოასმენინონ დეპუტატებს გეგმების, მათი შენიშვნებისა და წინადადებების, ამომრჩეველთა განაწყენების შესრულების შესახებ;

გ) გააძლიერონ მუდმივი კომისიების საანალიზო და საკონტროლო საქმიანობა, წინასწარი განხილვისათვის გადასცენ მათ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირითადი საკითხები, უფრო ფართოდ ჩაბან ისინი იმ გადაწყვეტილებებისა და საკითხების პროექტების მომზადებაში, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტების სესიებსა და სხდომებზე განიხილება;

დ) გაადიდონ სახალხო დეპუტატთა მაორგანიზებელი როლი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში, გააქტიურონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დეპუტატთა ჯგუფებისა და საკუშაოების საქმიანობა, მეტადრე მოქალაქეთა საჩიოებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხებში, უფრო ფართოდ დანერგონ დეპუტატთა შეკითხვების პრაქტიკა, შეუქმნან სახალხო დეპუტატებს მათ უფლებამოსილებათა რეალიზაციის საჭირო პირობები;

ე) განამტკიცონ კავშირი ხალხის მასებთან, უფრო ფართოდ ჩაბან შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, მოსახლეობა ისეთი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, როგორიც არის ბინების, საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა, კეთილმოწყობა, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების დაწესებულებების მუშაობა, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცება, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო კავშირით იმოქმედონ წარმოების ეფექტიანობის გადიდების, ხალხის შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ვ) გაზარდონ საჯაროობა მუშაობაში, სისტემატურად და უფრო სრულად გააცნონ მოსახლეობას თავიანთი საქმიანობა, მიღებული გადაწყვეტილებები, მათი შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობა. უფრო აქტიურად გამოიყენონ დეპუტატებისა და თანამდებობის პირთა გამოსვლები ამომრჩეველთა წინაშე, შრომითის კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე პრესა, ტელევიზია, რადიო.

24. გაფართოვდეს ხელისუფლებისა და მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებები საბჭოთა ორგანოების აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და კვალიფიციური კადრებით მისი განმტკიცების დარგში. საამისოდ:

ა) მიენიჭოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება, რომ ხელფასის დადგენილი ფონდის გათვალისწინებით დაამტკიცონ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მაგ. სამმართველოებისა და განყოფილებების აპარატის სტრუქტურა და შტატები, იხელმძღვანელონ თანამდებობრივი სარგოების სქემით (სქემით დადგენილი ცალკეულ კატეგორიათა მუშაკების რიცხვისა და საშუალო თანამდებობრივი სარგოების შეფარდების გაუთვალისწინებლად).

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ დაუდგინონ 1987-1990 წლებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მართვის რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკები) და ადგილობრივი ორგანოების აპარატის ხელფასის ფონდი მოლიანად ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაამტკიცონ 1986 წელს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახელმწიფო მართვის ორგანოების ხელფასის ფონდი;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ დადგენილებიდან გამომდინარე ახალი ამოცანების გათვალისწინებით განაზორციელონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების აპარატის განმტკიცების, და, იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესაბამის სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა შექმნის ღონისძიებები.

სკკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს სამინისტროებისა და უწყებების თანხმობით შეუძლიათ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტებს გადასცენ მათი თხოვნით ამ ქვეგანაყოფების შესაქმნელად მართვის აპარატის მუშაკთა საჭირო რიცხვი და ხელფასის ფონდი;

გ) ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ საბჭოთა ორგანოების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს დაუწესონ დანამატები თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის მომჭირნეობის ხარჯზე, რომელიც მუშაკთა რიცხვის შემცირების შედეგად წარმოიქმნება. ეს დანამატები შეიძლება გაუქმდეს ან შემცირდეს მუშაობის ხარისხის გაუარესებისას;

დ) განამტკიცონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების იურიდიული სამსახური, მიზანშეწონილად ცნონ, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შტატებში იყვნენ იურისკონსულტები.

25. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განაზორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სათავესთან, მოწყობილობით, ინვენტარით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი, დაადგინონ ამ მიზნით ნაგებობათა მშენებლობის დავალებანი, წლების მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის შესაბამისი ფონდების გამოყოფა.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები გამოიჩენენ მაქსიმალურ მუყაითობასა და ინიციატივას, რათა ძირეულად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, გაზარდონ წვლილი საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ფსაბჭოსა და აღკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს ბინების, სკოლების, სკოლამდელი აღზრდებულებისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო გეგმების შესრულების 1986 წლის პირველი ნახევრის შედეგები და მიმდინარე წლისათვის დადგენილი მშენებლობის პროგრამის უზრუნველყოფისათვის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის ამოცანები. ამ მხრივ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის სოლიერო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებს დაავალა ნიადაგ გაუწიონ კონტროლი მშენებლობის მიმდინარეობას, თვალყური ადევნონ საგეგმო დისციპლინის უფლებო დაცვას, პრინციპული პარტიული განხილვის საგნად აქციონ დადგენილ დავალებათა ჩაშლის ყოველი ფაქტი, მკვეთრად გაზარდონ მშენებლობებისა და მშენინდუსტრიის საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიურობა საგეგმო დავალებათა შესრულებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამიზნულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების შეხვედრების შედეგები. აღინიშნა, რომ შეხვედრებზე გაიმართა „გულახდილი, კონკრეტული საუბარი რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობისათვის საჭირბოროტო პრობლემებზე, წამოაყენეს სანტერესო წინადადებანი, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მომავალ სპეციალისტთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლება, სტუდენტების ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციის პრობლემების გადაჭრა. მიზანშეწონილად ჩრის მიჩნეული ტრადიციული გადღეს ასეთი შეხვედრები.

(დასასრული)

მითხარით, როგორია ცხოვრება ქალაქში საერთოდ. ვხედავ, რომ სამუშაო, რა თქმა უნდა, საინტერესო გაქვთ. ვიცი, არის პრობლემები. მექანიზაციასთან, კომპლექტაციასთან დაკავშირებითაც ხელს გიშლით არარიტმულობა. ეს არის სამუშაო შაბათების მიზეზი. ყველაფერი ეს ვიცი. მაგრამ ქალაქს თუ ავიღებთ, როგორია ცხოვრება ქალაქში? წასასვლელი ადგილი თუ გაქვთ?

ქალაქის ტრანსპორტი როგორ მუშაობს? მაღაზიები?

მუშები: ტრამვაი კარგად მუშაობს, ავტობუსები — არცთუ ისე. მაღაზიებში რაღაც-რაღაცეები არის, ზოგი რამ კი დეფიციტია. განსაკუთრებით ზაფხულობით. კარგი იქნებოდა, ბავშვებისათვის მეტი ნაყინი ყოფილიყო, ჩვენებიც ცოტაა. შაბათ-კვირის დასვენების ადგილებში ძალიან ბევრი ხალხია.

ხმა: მიხეილ სერგის ძევ, რატომ არის, რომ ჩვენში ცოტა თბილი ტანსაცმელი იყიდება?

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, მითხრეს.

ხმა: აქ ძლიერი ყინვებია, ბაგეები კი არ არის. ლამაზ ტანსაცმელს ევროპელ ნაწილში ეყიდულობთ. ამაზეც უნდა იზრუნოთ. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. ჩვენმა ქმამ — მუშამ ღალატი არ იცის, არც ახლა დაგაღალატებთ, როცა ასე პასუხისმგებლურად დგება საშშობლოს მომავლის საკითხი.

მ. ს. გორბაჩოვი: გეგმას როდის შეასრულებთ?

3. სადოვნიკოვი: ვცდილობთ. შაბათობით ვმუშაობთ.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს არ არის სასურველი.

3. სადოვნიკოვი: აბა რა ვქნათ? სხვანაირად არ გამოდის.

მ. ს. გორბაჩოვი: საჭიროა წარმოების უკეთ ორგანიზაცია.

მორიგი საწარმოო უბნის მუშაობის გაცნობის შემდეგ გაიმართა საფუძვლიანი საუბარი ბრიგადასთან.

მ. ს. გორბაჩოვი: რა საკითხები აღელვებთ მუშებს?

ადგილობრივი, სახელმწიფო, საზოგადოებრივი? როგორ აღწევს თქვენამდე ის, რასაც პოლიტიკური დონეზე ვსახავთ, როგორ აფასებთ იმას, საითაც გვინდა შემოვბარუნოთ ქვეყანა?

მუშები: აღწევს. სწორია. მხარს გიჭერთ. არ გადაუხვიოთ აღებულ კურსს.

მ. ს. გორბაჩოვი: არავითარი ეჭვი არა გაქვთ პოლიტიკის, იმის გამო, თუ როგორ ვაყენებთ წესრიგის, დისციპლინის საკითხებს, სხვა საკითხების გამო?

ხმები: ვმსჯელობთ ხოლმე: ყველაფერი სწორია.

მ. ს. გორბაჩოვი: ზოგჯერ, ამხანაგებო, დირექტორისა და ინჟინრისა არ შეგშურდეს კაცს. იოლი ცხოვრება როდი აქვთ. წარმოების, ადამიანების ორგანიზაცია იოლი საქმე არ არის. უნდა ვუგებდეთ. და მაინც მან თავისი ჯავრი მუშაზე არ უნდა იყაროს. ეს შეუწყნარებელია. უნდა გამონახოს დრო და მოუსმინოს, გაუგოს შას. აქ ასეთი პროცესია: ურთიერთპატივისცემა მუშასა და ხელმძღვანელს შორის, ამხანაგური ურთიერთობა. მათ ერომანეთი სჭირდებათ. აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ: ჯანსაღი, გულღია ურთიერთობა.

ვიმოქმედებთ ქვემოდანაც და ზემოდანაც. მთავარი წინ გვაქვს. გარდაქმნა ეს-ეს არის დაგიწყეთ და ყველა უნდა გარდაქმნას. ზოგიერთს სურს, მაგრამ ვერ აბერხებს. უნდა დავეხმაროთ, შანსი მივცეთ. ისიც ხომ მართალია, რომ, თუ პატიოსნად ვიმუშავებთ, მონდომებით შევასრულებთ ჩვენს ამოცანებს, არ შეგვურიგდებით უწესრიგობას ქარხანაში და ქალაქში, ჩვენ გვერდით — ეს უკვე გარდაქმნაა. ესეც საჭიროა: ნამუსიანად ვიცხოვროთ და ვიშრომოთ.

ერთი სიტყვით, თქვენი იმედი გვაქვს. თუ მუშათა კლასი მხარს უჭერს პოლიტიკას, მაშასადამე, პოლიტიკა სწორია, რეალურია. თუ მას ვერ აღიქვამს შშრომელი ადამიანი, ვის სჭირდება ასეთი პოლიტიკა? ამიტომ ყველგან ერთსა და იმავე კითხვას ვსვამ: გვეთანხმებთ?

ხმები: დიახ, დიახ. გეთანხმებით. მხოლოდ ასე! დიდი ხანია ასე უნდა ყოფილიყო!

მ. ს. გორბაჩოვი: უზარმაზარია ჩვენი ქვეყანა. უკვე ძლაგრი პოტენციალი გვაქვს. წინ ვეწევით მას. რაღაცის გადატანაც მოგვიწევს, მაგრამ საქმეებს ეკონომიკაში დავძრავთ, ფართო ნაბიჯით წავალთ წინ. ყველაფერს აეტანთ. ვფიქრობთ, ხუთწლედის დამლევებისათვის უკვე უნდა ვიგრძნოთ ქვეყანაში სიტუაციის გაუმჯობესება — ეკონომიკურის, სოციალურის. მაგრამ ამისათვის მშვიდობა უნდა შევინარჩუნოთ.

ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით მინდა ყველას მადლობა მოგახსენოთ თქვენი შრომისათვის. ამ მკაცრ, ძნელ მხარეში ხალხი დამკვიდრდა, დაფუძნდა. ეს იოლი როდი იყო, მაგრამ ისინი დიდ საქმეს აკეთებენ მთელი ქვეყნისათვის.

ვფიქრობთ, შორეულ აღმოსავლეთს ახლა მთლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი. რამდენიმე თვის განმავლობაში დავამთავრებთ შორეული აღმოსავლეთის შემდგომი განვითარების ამ ხუთწლიანს და 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის შექმნისათვის მუშაობას.

არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაში უნდა დავეხმაროთ ქალაქს. აქ არიან მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც პასუხს აგებს მშენებლობის საკითხებისათვის. ისინი ისმენენ, რაზეც აქ ვლაპარაკობთ. ვლადივოსტოკში ჩვენ უკვე დავთქვით, რომ კლავ მივუბრუნდებით შორეული აღმოსავლეთის გეგმებს, იმის გათვალისწინებით, რაც აქ მოვისმინეთ, ვნახეთ.

ერთი რამ იქონიეთ მხედველობაში, ჩვენ დავეხმარებით აღმოსავლეთს, თქვენ უალრესად დიდ საქმეებს აკეთებთ, ხელი უნდა შეგიწყოთ, ყველაფერი ერთბაშად არ გადაწყდება. მაგრამ არის ისეთი რამ, რისი გადადებაც არ შეიძლება.

შემდგომ მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ლენინური კომკავშირის სახელობის გემთსაშენებელ ქარხანას. სამქროში გაიმართა საუბარი მუშებთან და სპეციალისტებთან.

მ. ს. გორბაჩოვი: ყველამ უნდა მოუმატოს მუშაობას, დაჩქარის ტემპი, ჩვენ, ცოტა არ იყოს, დავკარგეთ დრო, მეტი რომ არა ვთქვათ. ამოცანები დიდია. მაგრამ შეიძლება მათი შესრულება. დაკარგული დრო კი უნდა ავინაზღაუროთ. ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა ვქნათ ეს.

ხმები: შეავსრულებთ! აუცილებლად. უკან არ დავიხევთ!

მ. ს. გორბაჩოვი: რამდენჯერ მითქვამს და კვლავაც ვიტყვი, ძვირფასო ამხანაგებო: მთელი ჩვენი პოლიტიკა, ყოველივე დასახული ხალხისათვის არის გათვალისწინებული. მაგრამ გასაღები თავად ხალხს აქვს. ჩვენ ახლა მივუბრუნდით სოფლის მეურნეობასაც, მსუბუქ მრეწველობასაც, ვაჭრობასაც, საბინაო მშენებლობას, რათა გავაუმჯობესოთ საბინაო მშენებლობის, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო, მთელი სოციალური სფერო. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც წამოვიწყეთ! ყველაფერს! გაქვთ მუშაობის განწყობილება?

ხმები: გვაქვს!

მ. ს. გორბაჩოვი: ახლა პროდუქციის ხარისხს მაგრად ვაიდებთ ხელს. დავაწესეთ პროდუქციის სახელმწიფო მიღება მთელ რიგ საწარმოებში, თანაც კარგი საწარმოებით დავიწყეთ. თავდაპირველად ძნელია, ორი-სამი თვე გაიჭირვნო, შემდეგ კი საქმე კარგად წავა.

თქვენც გაგიძნელდებათ. ზოგი ელის, რომ ორი-სამი თვის შემდეგ, ერთი წლის შემდეგ ყველაფერი უხვად გვექნება. არ გაგიოლი ცხოვრება როდი აქვთ. წარმოების, ადამიანების ორგანიზაცია იოლი საქმე არ არის. უნდა ვუგებდეთ. და მაინც მან თავისი ჯავრი მუშაზე არ უნდა იყაროს. ეს შეუწყნარებელია. უნდა გამონახოს დრო და მოუსმინოს, გაუგოს შას. აქ ასეთი პროცესია: ურთიერთპატივისცემა მუშასა და ხელმძღვანელს შორის, ამხანაგური ურთიერთობა. მათ ერომანეთი სჭირდებათ. აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ: ჯანსაღი, გულღია ურთიერთობა.

ვიმოქმედებთ ქვემოდანაც და ზემოდანაც. მთავარი წინ გვაქვს. გარდაქმნა ეს-ეს არის დაგიწყეთ და ყველა უნდა გარდაქმნას. ზოგიერთს სურს, მაგრამ ვერ აბერხებს. უნდა დავეხმაროთ, შანსი მივცეთ. ისიც ხომ მართალია, რომ, თუ პატიოსნად ვიმუშავებთ, მონდომებით შევასრულებთ ჩვენს ამოცანებს, არ შეგვურიგდებით უწესრიგობას ქარხანაში და ქალაქში, ჩვენ გვერდით — ეს უკვე გარდაქმნაა. ესეც საჭიროა: ნამუსიანად ვიცხოვროთ და ვიშრომოთ.

ერთი სიტყვით, თქვენი იმედი გვაქვს. თუ მუშათა კლასი მხარს უჭერს პოლიტიკას, მაშასადამე, პოლიტიკა სწორია, რეალურია. თუ მას ვერ აღიქვამს შშრომელი ადამიანი, ვის სჭირდება ასეთი პოლიტიკა? ამიტომ ყველგან ერთსა და იმავე კითხვას ვსვამ: გვეთანხმებთ?

ხმები: დიახ, დიახ. გეთანხმებით. მხოლოდ ასე! დიდი ხანია ასე უნდა ყოფილიყო!

მ. ს. გორბაჩოვი: უზარმაზარია ჩვენი ქვეყანა. უკვე ძლაგრი პოტენციალი გვაქვს. წინ ვეწევით მას. რაღაცის გადატანაც მოგვიწევს, მაგრამ საქმეებს ეკონომიკაში დავძრავთ, ფართო ნაბიჯით წავალთ წინ. ყველაფერს აეტანთ. ვფიქრობთ, ხუთწლედის დამლევებისათვის უკვე უნდა ვიგრძნოთ ქვეყანაში სიტუაციის გაუმჯობესება — ეკონომიკურის, სოციალურის. მაგრამ ამისათვის მშვიდობა უნდა შევინარჩუნოთ.

ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით მინდა ყველას მადლობა მოგახსენოთ თქვენი შრომისათვის. ამ მკაცრ, ძნელ მხარეში ხალხი დამკვიდრდა, დაფუძნდა. ეს იოლი როდი იყო, მაგრამ ისინი დიდ საქმეს აკეთებენ მთელი ქვეყნისათვის.

ვფიქრობთ, შორეულ აღმოსავლეთს ახლა მთლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი. რამდენიმე თვის განმავლობაში დავამთავრებთ შორეული აღმოსავლეთის შემდგომი განვითარების ამ ხუთწლიანს და 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის შექმნისათვის მუშაობას.

შეხვედრები მუშათა კლასთან

(დასასრული)

ბენ ამ ადგილებზე. ეს ადგილები ... ...

30 ივლისი ● საქართველო იუწყება

ინფორმაციები

ფაქტები • მოვლენები

მშვიდობის უცვლელი სტრატეგია

საზღვარგარეთის გამოხმაურება

საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად იღებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის, ბეჯითად ეძებს რეგიონალური კონფლიქტების პოლიტიკური გადაწყვეტის გზებს, მოუწოდებს აზია-წყნარი ოკეანის ყველა ქვეყანას, ითანამშრომლონ მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი ჩართონ საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის საერთო პროცესში. ეს აზრი ხაზგასმულია ვლადივოსტოკში გამართულ საზეიმო კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო უცხო საერთაშორისო გამოხმაურებებში.

◆ **პრაღა**

აღნიშნა რა სსრ კავშირის ეკონომიკაში დაწყებული პოზიტიური ძვრები, მ. ს. გორბაჩოვმა ამავე დროს მტკიცედ განაცხადა, რომ საჭიროა ბრძოლა რთული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ხანგრძლივი პერსპექტივის ვრცელი პროგრამიდან, წერს ჩეხოსლოვაკიური „**რუდე პრავო**“. საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ადგას მშვიდობის პოლიტიკას. იგი განსაკუთრებულ უყურადღებას უთმობს აზიასა და წყნარ ოკეანეში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საკითხებს. საბჭოთა კავშირი, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVII ყრილობის პრინციპული გეზით, ეცდება გააცოცხოველოს ორმხრივი ურთიერთობა რეგიონის უკლებლივ ყველა ქვეყანასთან.

◆ **ვარშავა**

მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოთქმული შეფასებანი და დასკვნები, რომლებიც ეხება როგორც საბჭოთა, ისე საერთაშორისო პრობლემებს, კონკრეტული შინაარსით ავსებს სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებულ პრინციპებსა და მითითებებს, წერს პოლონური „**ტრიბუნა ლუდუ**“. ვლადივოსტოკიდან გაისმა მოწოდება მშვიდობისა და უშიშროებისათვის. აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის განთავისუფლება შეიარაღებისა და სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობისაგან მშვიდობის განმტკიცების უმოკლესი გზაა.

◆ **პეკინი**

ჩინური „**ჟენმინ ჟიბაო**“ პირველ გვერდზე ბეჭდავს სინხუას სააგენტოს ცნობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა: საბჭოთა კავშირი მზად არის გაიყვანოს ავღანეთში მყოფი ჯარები და ამა წლის დამლევამდე ავღანეთიდან სამშობლოში დაიბრუნოს ექვსი პოლკი. საბჭოთა ხელმძღვანელმა, ნათქვამია ცნობაში, განაცხადა, რომ სსრ კავშირი ამ ნაბიჯს დგამს ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების დაჩქარების მიზნით და რომ ავღანეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულია ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების დაბრუნების ვადებიც და ეტაპებიც. ამავე დროს მან განაცხადა, რომ, თუ გაგრძელდება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ინტერვენცია, საბჭოთა კავშირი მეზობელს უბედურებაში არ მიატოვებს. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილავს მონღოლეთიდან საბჭოთა ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყვანის საკითხს. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველ დროს, ყოველ დონეზე უაღრესად სერიოზულად განიხილოს ჩინეთთან კეთილმეზობლობის ვითარების შექმნის დამატებით ღონისძიებათა საკითხები.

◆ **დელი**

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური სიტყვა — ასე ახასიათებს ინდოეთის პრესა მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას ვლადივოსტოკში. სსრ კავშირის პოლიტიკა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ნაკარნახევია მსოფლიოს ამ რაიონის ქვეყნებთან მშვიდობისა და მეგობრობის გულწრფელი მისწრაფებით, წერს „**ინდუსტან ტაიმსი**“. მ. ს. გორბაჩოვმა ამასთან დაკავშირებით მაღალი შეფასება მისცა ინდოეთთან სსრ კავშირის ურთიერთობას, ინდოეთის რესპუბლიკის წვლილს საერთაშორისო გაერთიანებაში თანასწორუფლებიანი თანაარსებობისა და სამართლიანობის ნორმების დამკვიდრების საქმეში.

◆ **ნიუ-იორკი**

დაწვრილებით აშუქებს რა მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას, „**ნიუ-იორკ ტაიმსი**“ გამოთქვამს აზრს, რომ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებამ ავღანეთიდან ექვსი პოლკის გამოყვანის შესახებ „შეიძლება გააუმჯობესოს კლიმატი პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად ღონისძიებათა განხორციელებისათვის“. თეთრი სახლის წარმომადგენელმა დამახინჯებული სახით წარმოადგინა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება, რომელიც ნაკარნახევია მისწრაფებით დაჩქარდეს ავღანეთის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგება, და გამეორა ვაშინგტონის წინანდელი ნეგატიური პოზიცია ამ საკითხში. ვაშინგტონის ამგვარი რეაქცია, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ასახავს ამერიკის ხელისუფლების შტატების მისწრაფებას განაგრძოს და გააფართოოს შეიარაღებული ინტერვენცია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

◆ **პარიზი**

ფრანგული „**მატენი**“ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას ახასიათებს, როგორც „დიპლომატიურ შეტევას ყველა მიმართულებით“. საბჭოთა ხელმძღვანელი, წერს გაზეთი, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა განავითაროს ურთიერთობა დიდ მეზობელთან — ჩინეთთან. ამავე დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ვაშინგტონს უჩვენა, რომ არის საერთაშორისო ურთიერთობაში რთული პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლებლობანი.

◆ **ტოკიო**

იაპონური „**ტოკიო სიმბუნი**“ ყურადღებას მიაპყრობს საბჭოთა წინადადებას იმის თაობაზე, რომ ჰელსინკის კონფერენციის მსგავსად მოეწყოს წყნარი ოკეანის კონფერენცია აზიაში უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე, რომლის მოწვევის იდეელი შეიძლება გახდეს ჰიროსიმა. სსრ კავშირის სტრატეგია მიზნად ისახავს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას აზიაში, ხაზს უსვამს გაზეთი. ახალი საბჭოთა ინიციატივები აღავლენის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარების, შორეულ აღმოსავლეთში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შემცირების შესაძლებლობის იძლევა. „**ნიჰონ კეიძაი**“, მიიჩნევს, რა მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას „მშვიდობიანი შეტევის“ გამოვლინებად, წერს, რომ „საბჭოთა კავშირის ახალ ღონისძიებებს, უეჭველია, მოჰყვება ურთიერთობის განვითარება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

◆ **ლონდონი**

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ ცხადყო, ხაზს უსვამს ინგლისელი „**ტაიმსი**“, რომ, საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრით, დროთა განმავლობაში, და თუ გამოიჩენენ მოთმინებას, აზიის პრობლემები შეიძლება გადაწყდეს.

◆ **დამასკო**

საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლა ვლადივოსტოკში, აზიისა და წყნარ ოკეანეში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის გამიზნული ახალი საბჭოთა წინადადებანი, წერს სირიული „**ალ-ბაასი**“, მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის ახალი ღონისძიებანი კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე.

სახალხო დღესასწაულებზე

ვაჭაობა

წლეულს ქართველი ხალხი დიდი პოეტისა და მოაზროვნის ვაჟა-ფშაველას დაბადების ასოცდამეხუთე წლისთავს იზეიმებს.

ამ ნიშნითვე ჩაიარა თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში გამართულმა სახალხო დღესასწაულმა, რომელიც მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა.

სოფელში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, რათა პატივი მიეგოთ თავდადებული მამულიშვილისათვის, რომელიც ნიადაგ ხალხის კეთილდღეობის უანგარო სამსახურში იდგა.

დღესასწაულის მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს ფშაველთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია.

აქვე გამართულ სახელდახელო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს ლაფანყურის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. წვერიშვილმა, ადგილობრივი კულტურის სახლის დირექტორმა დ. რუსულაშვილმა, იურისტმა ს. ჩაქიაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც ილაპარაკეს ვაჟას გენიაზე, იმ ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე, რომლებთაც მწერალი დაკავშირებული იყო საერთოდ კახეთთან და სახელდობრ ლაფანყურთან, რომლის მკვიდრნიც, ძირითადად, ფშაველები არიან.

დღესასწაულმა მწერლის ნაღვაწისადმი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით ჩაიარა. ლაფანყურში გვიანობამდე ისმოდა ვაჟას უკვდავი პოეტური შედევრები, მისადმი მიძღვნილი ლექსები.

ყაზბეგობა

ტრადიციული სახალხო დღესასწაულის — ყაზბეგობისათვის, რომელიც ყოველი წლის ივლისის ბოლო კვირას აღინიშნება ხოლმე და წლეულს მეთორმეტედ გაიმართა, გულდაგულ მოემზადნენ ყაზბეგელები — გაალამაზეს მწერლის სახლ-მუზეუმი და კარ-მიდამო.

ზეიმი გახსნა და დამსწრეთ დღესასწაული მიულოცა პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. გომიაშვილმა; მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკეს ა. ყაზბეგის მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორმა დ. ხულელიძემ, გაზეთ „დარიალის“ რედაქტორმა შ. არაბულმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ვ. მადურმა და ვ. კოტეტიშვილმა. დღესასწაულზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა რ. ინანიშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. არაბულმა, პოეტებმა თ. ბექიშვილმა, მ. ავსაჯანიშვილმა და ე. თათარაიძემ, რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობმა ზ. ბაწელაშვილმა.

გაიმართა ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი — იმპროვიზირებულ სცენაზე გაცოცხლდნენ ა. ყაზბეგის გმირები, რომლებიც განასახიერეს კულტურის რაიონულ სახლთან არსებული დრამატული წრის წევრებმა. დამსწრეთ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მომღერლებმა და ბავშვთა მხატვრულმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა, რის შემდეგაც გაიმართა სპორტული ასპარეზობანი.

დ. ბიწაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

კლუბი გორისუბანში

ამგზოლაური (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფლის — გორისუბნის ცენტრში აიგო და ჩაბარდა წასოფლო კლუბის ახალი შენობა კეთილმოწყობილი სცენითა და მაყურებელთა დარბაზით.

ახლადაგებულ კლუბის სცენაზე პირველი კონცერტი გამართა რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

მკვლონიერდეთ, მკვეჯანსაღდეთ, მაკეთებრდეთ!

ჯანმრთელობის კლუბები ყველასათვის

ჩვენი გაზეთის 27-აპრილს ნომერში „ქართველებს — ვაცნობებთ, რომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, რესპუბლიკის სახელმწიფო სპორტკომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივით შეიქმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთა კლუბი — „ჯანმრთელობა“. ამ ორგანიზაციულ სისტემაში ჩამოყალიბებულია და კიდევ უალიმდება ინტერესების მიხედვით რბენის მოყვარულთა და გამაჯანსაღებელი სიარულის, სათამაშო სახეობათა სპორტის, რიტმული ტანვარჯიშისა და სხვა სახეობათა სპორტის კლუბები. ასეთი კლუბების ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდება. მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით შექმნილია საორგანიზაციო ღონისძიებათა მომზადებისა და მოწყობის, აგიტაციისა და პროპაგანდის, მუშა კომპლექსისა და ტურიზმის დანერგვის, სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის, სამედიცინო კონტროლისა და კიდევ სხვა კომისიები.

ჯანმრთელობის კლუბების შექმნის მხრივ უკვე მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. დღეისათვის რეგისტრირებულია სპორტსაზოგადოება „განთიადის“ 15 კლუბი, რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „ზენიტისა“ — 7, „სპარტაკისა“ — 8 და ორიც „კოლმეურნისა“. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში“ სადაც 16 კლუბის შექმნას აპირებენ, უახლოეს ხანში „ჭარიზმალასა“ და „ლოკომოტივში“ შესაბამისად 10 და 8 კლუბი შეიქმნება. საერთოდ კი განვლილი 8 თვის განმავლობაში სხვადასხვა სპორტსაზოგადოებებში უკვე 48 კლუბი ფუნქციონირებს.

დღეს მკითხველთა ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა სპორტსაზოგადოება „განთიადში“ შემავალ საწარმოებში.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხანა ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანია, სადაც სპორტს დიდ პატივს სცემენ. აქ 23 აპრილს საწარმოს სპორტკლუბ „გამარჯვების“ ბაზაზე შეიქმნა ცურვის მოყვარულთა კლუბი „ნეპტუნი“, დაამტკიცეს მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა, მიიღეს კლუბის დებულება. სულ ახლახანს კი ცურვის საკავშირო კვირეულის დღეებში, კლუბის საზეიმო გახსნა მოეწყო. წლეულს, საწარმოს ტერიტორიაზეე მდებარეობს ამოფეტენქიკური სასწავლებელი საერთო საცხოვრებლით, აგრეთვე მუშათა ოთხი საერთო საცხოვრებელი. ამ კოლექტივში უმეტესობა ქალებია და, მიუხედავად ამისა, აქამდე ვერ მოხერხდა ჯანმრთელობის კლუბის შექმნა რიტმულ ტანვარჯიშში. მამაკაცებისათვის კი ორი ჯგუფია გახსნილი — კლასიკური ჭიდაობასა და ათლეტურ ტანვარჯიშში. ამ ჯგუფებში ო. მელაშვილისა და გ. პლიევის ხელმძღვანელობით 95 კაცი მეცადინეობს.

1985 წლის ბოლოს დაიწყო საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ღია აუზის რეკონსტრუქცია, რისთვისაც 403.000 მანეთია გამოყოფილი. წლეულს კი მისი გადახურვა დამთავრდა და დიდ აუზს პატარა საკუმპალაოც შეემატება. ასე რომ, გაისად შესაძლებელი გახდება ჯანმრთელობის ჯგუფის შექმნა ცურვის მოყვარულთათვისაც.

ასეთია პირველი ნაბიჯები სპორტსაზოგადოება „განთიადს“ დაქვემდებარებულ თბილისის ზოგიერთ საწარმოში.

მ. მათიაშვილი.

სპორტული კომპლექსი

ონი. (საკ. კორ.). რაიონის სპორტმენებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს — კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი. ახალი ბაზა დიდად შეუწყობს ხელს რაიონში ფიზკულტურული მუშაობის ამაღლებას, გაზრდის ახალგაზრდობის ინტერესს სპორტისადმი.

საგუნრო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: თბილისის „დინამო“-ქუთაისის „ტორპედო“ — 2:1, „დნეპრი“-„ჩერნომორეცი“ — 1:0, „სპარტაკი“-მოსკოვის „დინამო“ — 2:2, „შახტიორი“-„ცალგირისი“ — 3:1, „მეტალისტი“ „ზენიტი“ — 1:0, „არარატი“-„ნეფტჩი“ — 0:0.

ფარიკაობა. სოფიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის რაპიერისტ ვაჟთა ნაკრებმა ფინალში დაამარცხა გფრ-ის გუნდი ანგარიშით 9:4 და პირველ ადგილს დაეუფლა. საბჭოთა მოფარიკავეები მეექვსე ადგილს დასჯერდნენ.

სასპორტაკიადო ფერიდიანზე. ტალინში მიმდინარე სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული აფროსანთა შეჯიბრებაზე 3-3 რბოლის შემდეგ ქალთა „470“-ის კლასში საქართველოს გუნდი მეშვიდე ადგილზე იყო, ვაჟთა კოლეტივი — მეათეზე, „ვინგლაიდერის“ კლასში ვაჟთა ეკიპაჟი მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ქალთაში კი — მეცხრეზე, „სოლინგის“ კლასში მეთერთმეტეზე ვიყავთო, „ვარსკვლავის“ კლასში — მეხუთეზე, „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში — მეათეზე, „ფინის“ კლასში — მეცხრეზე. მინსკში გრძელდება **სამბისტის** შეჯიბრება. გუშინ წინასწარი შეხვედრები გაიმართა 52, 62, 74, 90 კილოგრამამდე და 100 კგ-ს ზვევით წონის კატეგორიებში. კიევში გუშინ საღამოს დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური ჯგუფის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ უკრაინის, ბელორუსიის (ფინალში შევიდნენ 2-2 ქულით), მოსკოვის, ლენინგრადის, ლიტვის, რუსეთის ფედერაციის (თითო ქულით), მოლდავეთისა და საქართველოს (უქულოდ) ნაკრები კოლექტივები.)

რედაქტორი
ვ. ბედიანიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲙᲘᲜᲝᲨᲘ

თოლკოვი

31 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „სიმღერა, რომანსი, ვალსი“, 10.20 — მულტფილმები. 10.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.10 — აშკარა — დაუჯერებელი. 12.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „სოფლის პორიზონტები“. დოკუმენტური ფილმები. 16.35 — კონცერტი. 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — მხატვრული ფილმი „სოფლის მასწავლებელი“. 19.05 — კონცერტი. 19.30 — დოკუმენტური ტელეფილმი ლოთობის შესახებ. 19.45 — დღეს მსოფლიოში: 20.00 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში. 20.05 — პრობლემები — ძიებანი — გადაწყვეტანი. 20.55 — ახალი ამბები. 21.00 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა“. მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“ — 22.40 — ტელემაყურებლის თანამგზავრი. 23.10 — „დინ რიდი ცხოვრებასა და სიმღერაში“. 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 21.50 — დოკუმენტური ტელეფილმ ე ბ ი. 9.40 — მხატვრული ტელეფილმი „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო გზა“. მესამე სერია. 11.00 — მაღვიძარა. 11.30 — ესპანური ენა. 12.00—„სასკოლო რეფორმა: ორი წლის შემდეგ“. 12.30—კონცერტი. 13.00—საშაფდრაკო სკოლა. 13.30 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდაათი ორმოცდაათზე“. 14.55 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. 20.00 — მოცარტი, საკონცერტო სიმფონია ვიოლინოს, ალტისა და ორკესტრისათვის. მცირე დამის სერენადა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ახალი ამბები. 21.20. — რიტმული ტანვარჯიში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ძველი წერილები“. 23.45 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

31 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის ახლოს“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო თავდაცვაში“. 10.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციხკარა“. მხატვრული ფილმი „ეს ძველისძველი ზღაპარი“. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეოცე საუკუნის პირამიდები“ (პირველი ჩვენება). 12.35 — უკრავს ნანა იაშვილი (განმეორებით). 12.55 — ბიბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება, 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსილთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რეგბი“. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.00 — „საესტრადო პანორამა“. 18.50 — „ახალგაზრდობა“. სატელევიზიო პროგრამა. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — „თითოეულს — შრომის მიხედვით“. 21.00 — „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „კინოს სამყაროში“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტალღებზე მონავარდე“. 17.25 — განცხადებები. 17.30—მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“.

COMUNISTI INDEKS 66434 უე 07603 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზროვის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოჯარაულის ,,20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16

უშიშროების საბჭოში

სამხედრო ესკალაციის აღსაკვეთად

ნიუ-იორკი. **ნიკარაგუის სანდინისტური მთავრობის მოთხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიხსნა უშიშროების საბჭოს სხდომა. მასზე /განხილავენ / შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული მოქმედების საკითხს, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და რომელიც დაგმო ბაგის საერთაშორისო სასამართლომ.**

ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ, რომელიც პირველი გამოვიდა სხდომაზე, შეერთებულ შტატებს მოსთხოვა შეასრულოს ამ ავტორიტეტული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაგმო ვაშინგტონის აგრესიული კურსი ნიკარაგუის მიმართ როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. ორტეგამ თქვა, რომ ამ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მომავალში გზას გაუსნის შემდგომ სამხედრო ესკალაციის და კონფლიქტის გაფართოებას ცენტრალურ ამერიკაში, საფრთხეს შეუქმნის მთელ საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს. ორტეგამ გაიცა ამერიკის კონგრესის წარმომადგენლთა პალატის მოქმედება, რომელმაც მოიწონა სომოსელი კონტრრევოლუციონერებისთვის 100 მილიონი დოლარის გამოყოფა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გააგზავნეს კომუნიკე, რომელიც 28 ივლისს მიიღო მოუმხრობელი ქვეყნების საკოორდინაციო ბიუროს ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი ვითარების გამო. მასში გამოთქმულია სოლიდარობა ნიკარაგუელი ხალხისადმი. დოკუმენტი მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს განუხრელად შეასრულოს ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყოველგვარი მტრული აქტები, დაჯილდოებულთა დაფინანსება, აგრეთვე იძულებითი ეკონომიკური ღონისძიებები ნიკარაგუის ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ.



კლაკატიც იბრძვის

◆ **იაპონიაში** ფართოვდება დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ ნიკარაგუელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის მოძრაობა.

სურათზე: იაპონიის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის ორგანოში „ჯინენ ნო კოე“ გამოქვეყნებული პლაკატი, რომელიც მოუწოდებს იბრძოლონ აგრესორებზე სახელოო გამარჯვებამდე.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

◆ **ბუენოს-აირესი.** აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და არგენტინის რესპუბლიკას შორის თევზის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

◆ **რომი.** აქ გაიხსნა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგშია საკითხი: „ხუთპარტიული კოალიციის კრიზისი და ბრძოლა „დემოკრატიული ალტერნატივისათვის“.

◆ **ტოკიო.** იაპონელ მეშახტეთა პროფკავშირებმა ტოკიოში მოაწყვეს მასობრივი მიტინგი და დემონსტრაცია მშრომელთა ინტერესების დასაცავად. მანიფესტაციის მონაწილეებმა მთავრობას მოსთხოვეს შეწყვიტოს ქვეყანაში ქვანახშირის მოპოვების შეკვეცა და შახტების დახურვა, რაც მაღაროელთა შორის მასობრივ უმუშევრობას იწვევს.

◆ **პარაგვაი.** მიუმხრობლობის მოძრაობის საკოორდინაციო ბიურომ მოიწონა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობის ხუთაურთა VIII კონფერენციის დღის წესრიგის პროექტი. კონფერენცია გაიხსნება ერთი თვის შემდეგ ზიმბაბვეს დედაქალაქში.

დაძაბულობის შენელების მტრები

რა აკლია „ამერიკის ხმას“?

ვაშინგტონი. რა აკლია ოფიციალური ვაშინგტონის პროპაგანდისტულ რადიორუპორს — „ამერიკის ხმას“? ამ კითხვაზე ყოველივეს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღეღაღამ თავს იმტვრევენ პირწყალგარდნილი პროპაგანდისტი სპეციები, რომლებმაც მოიკალათეს ამერიკის დედაქალაქის ცენტრში მდებარე რუზ, ყაზარმის ტიპის შენობაში, სადაც განლაგებულია ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს შტაბბინა.

თითქოსდა საყვარელი პირმშოსათვის ფულს პატრონები არ იშურებენ: 1,3 მილიარდი დოლარი გამოყვეს „ხმის“ ტექნიკური მოდერნიზაციისათვის. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში უკვე არსებული რადიოგადამცემების ფართო ქსელის გარდა აშენებენ ახლებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა თუ ტაილანდში, შრი ლანკაში, ბოტსვანასა და მაროკოში, კოსტა რიკაში, ბელისსა თუ ანტიგუაში. იქნებ, მაუწყებლობის მოცულობა ეცოტავებათ? სულაც არა, კვირაში 1334 საათის გაფმენელობაში ეთერში 42 ენაზე გაისმის დითირამბები ყბადაღებული „ამერიკული ცხოვრების წესის“ მიმართ.

„ევრეკა!“, — წამოიძახეს ბოლოს და ბოლოს ინდოპენდენსავენიუზე მდებარე რუზი შენობის ბინადრებმა. „ამერიკის ხმას“ არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი! რადგან დიაგნოზი უკვე დასმულია, რადიკალური ღონისძიებების განხორციელებას ხელს აღარაფერი უშლის. თვით შეერთებული შტატების საინფორმაციო საგენტოს შეფმა ჩარლზ უოკმა გამოაცხადა, რომ შეიქმნა „ამერიკის ხმის“ რადიოფაფუჭებლობის საკითხთა საკონსულტაციო კომიტეტი. კომიტეტში, განაცხადა მან, შევლენ „რადიომაუწყებლობის დარგის საუკეთესო პროფესიონალები“, ამერიკის უდიდესი რადიო და ტელემაუწყებლობის კორპორაციათა ხელმძღვანელი მოღვაწენი. კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ჰენენ ბრაუნი, სი-ბი-ეს რადიოპროგრამის „მისტერი ტეატრის“ ხელმძღვანელი. მრჩევლებს ჭეტად ვრცელი სამოქმედო ასპარეზი მისცეს: ჯერ ერთი, ისინი მოვალენი არიან „ფასდაუდებელი რეკომენდაციები“ მისცენ პროგრამათა შედგენის დარგში, მეორე, დახმარება გაუწიონ „ამერიკის ხმის“ საქმიანობის გაფართოებისათვის სახსრების მიღებაში. ამრიგად, დასკვნა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს შეფისა, „ამერიკის ხმა“ შეძლებს „ეფექტიანი კონკურენცია“ გასწიოს მსოფლიო რადიომაუწყებლობის დარგში.

რაც შეეხება ახლად შექმნილი საკონსულტაციო კომიტეტის მთავარ ამოცანას, იგი კვლავ უწინდელი რჩება. რადაც უნდა დაუჯდეს, ნებისმიერი საბაბით თავს მოახვიოს აუდიტორიას ოფიციალური ვაშინგტონის საამებელი წარმოდგენა — „ამერიკის ფასეულობათა“ შესახებ. მაგრამ ახლა გადაწყვიტეს ეს „პროფესიულ დონეზე“ აკეთონ...

● **იტალია**

ლიდერთა შეხვედრა

რომი. **აქ მიმდინარეობს იტალიის ხუთი მმართველი პარტიის ლიდერთა შეხვედრა, რომელიც მთავრობის მწვავე კრიზისის მოწესრიგების კონკრეტული გზების ძიებას ეძღვნება.**

შეხვედრის მონაწილეებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვას: შექმნის იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკური მდგომარეობა ბეტინო კრაქსი ახალ კაბინეტს თუ წინანდელი მთავრობა მისი მეთაურობით წარდგება პარლამენტის წინაშე და ნდობის ვოტუმის მიღების შემთხვევაში განაგრძობს „შეწყვეტილ საქმიანობასს?“ გარდა ამისა, ხუთი პარტიის ხელმძღვანელები განიხილავენ კრაქსის მიერ შემუშავებულ მთავრობის პროგრამას 1988 წლამდე პერიოდისათვის.

● **საფრანგეთი**

დაიწყო განხილვა

პარიზი. **საფრანგეთის პარლამენტის ზედა